

**საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემია
GEORGIAN ACADEMY OF
AGRICULTURAL SCIENCES**

**მ ო ა მ ბ ე
B U L L E T I N**

№1(37)

თბილისი-TBILISI-2017

UDC (უაკ)63+338.4+664](08)



**საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემია
GEORGIAN ACADEMY OF
AGRICULTURAL SCIENCES**

მ მ ა მ ბ ე
(სამეცნიერო შრომათა კრებული)
BULLETIN
(Scientific Papers)
№1 (37)

**საერთაშორისო სამეცნიერო-
მეთოდოლოგიური და პრაქტიკული,
რეფერირებული სამეცნიერო
შრომათა კრებული**
International Scientific-Methodological
and Applied Referenced
Scientific Papers

სამეცნიერო შრომათა კრებული გამოდის
1992 წლიდან.
გამოიცემა წელიწადში ორჯერ.
Collection of Scientific Papers is published
since 1992.
Published twice a year.
p.593-20-07-93; 599-22-75-50.
E-mail:acad.as@gaas.dsl.ge,
E-mail: areal55555@gmail.com
www. gaas.dsl.ge

ISSN 1512-2743

თბილისი-TBILISI-2017
ბამონცემელობა „აბრო“

გურამ ალექსიძე

სარედაქციო-სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე: ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

სარედაქციო-სამეცნიერო საბჭო:

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები: გ.ჯაფარიძე (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე), ო.ქეშელაშვილი (საბჭოს პასუხისმგებელი მდივანი), ნ.პალათურია, ვ.გუგუშვილი, ვ.კაციტაძე, პ.კოლუაშვილი, თ.კუნჭულია, ო.ლიპარტელიანი, გ.მარგველაშვილი, რ.მახარობლიძე, გ.პაპუნძე, გ.ტყემელაძე, ნ.ქარქაშაძე, თ.ყურაშვილი, ზ.ჩანქსელიანი, ნ.ჩხარტიშვილი, რ.ჩაგელიშვილი, ე.შაფაქიძე, ზ.ცქიტიშვილი, რ.ჯაბნიძე, შ.ჭალაგანიძე, ა.გიორგაძე (აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე), რ.კოპალიანი (პროფესორი).

სარედაქციო-სამეცნიერო საბჭოს უცხოელი წევრები:

პროფესორები: ვლადიმერ ლოგინოვი (ბელორუსია), იაროსლავ გაზდალო (უკრაინა), რაიჩო გეორგიევი (ბულგარეთი), ვიტალი კუჩერიავი (უკრაინა), ნიკოლოზ პოვოზნიკოვი (უკრაინა), იან პიკული (პოლონეთი), გუგეოჟ როჩკა (პოლონეთი), სოკ-იონგ ლი (კორეა), აზიმხან სატიბალდინი (ყაზახეთი), პანომირ ცენოვი (ბულგარეთი) ზეინალ აკპაროვი (აზერბაიჯანი), სადიგ სალახოვი (აზერბაიჯანი), გალიბ გაჯიევი (აზერბაიჯანი).

საგამომცემლო-სარედაქციო კოლეგია:

გ.ალექსიძე-მთავარი რედაქტორი, გ.ჯაფარიძე-მთავარი რედაქტორის მოადგილე, ო.ქეშელაშვილი-პასუხისმგებელი რედაქტორი, ე.შაფაქიძე, ა.გიორგაძე.

G.Aleksidze,

Head of Editorial-Scientific Board, Doctor of Biological Sciences, Professor, Academician, President of Georgian Academy of Agricultural Sciences.

Editorial-Scientific Board:

Academicians of Georgian Academy of Agricultural Sciences: G.Japaridze (Deputy Head of Editorial-Scientific Board), O.Keshelashvili (Responsible Secretary of Editorial-Scientific Board), G.Baghaturia, J.Gugushvili, J. Katsitadze, N. Karkashadze, P. Koghuashvili, T.Kunchulia, T.Kurashvili, O.liparteliani, G.Margvelashvili, R. Makharoblidze, G.Papunidze, G.Tkemaladze, R.Chagelishvili, Sh. Chalaganidze, N. Chkhartishvili, Z.Cha-nkseliani, E.Shapakidze, Z.Tskitishvili, R.Jabnidze, A.Giorgadze (Deputy President of the Academy), R.Ko-paliani (Professor).

Foreign members of Editorial-Scientific Board:

Professors: V. Loginov (Belarus), I. Gadzalo (Ukraine), R. Georgiev (Bulgaria), V. Kucheriavy (Ukraine), N. Povochnikov (Ukraine), I. Piculi (Poland), G. Rochka (Poland), Soc-Yong Lee (Korea), A. Satibaldin (Kazakh), P. Tzenov (Bulgaria), Z. Akparov (Azerbaijan), S. Salakhov (Azerbaijan), G.Gadjiev (Azerbaijan).

Publishing Board:

G.Aleksidze (Editor-in-chief), G. Japaridze (Deputy editor), O. Keshelashvili (Responsible editor), E.Shapakidze, A.Giorgadze.

1. მეცნიერება Sciences

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია- ახლებური ხედვებით, ახალი გამოწვევების წინაშე

გურამ ალექსიძე—საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი,

გივი ჯაფარიძე—საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი,

ომარ ქეშელაშვილი—საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი.

საკვანძო სიტყვები: მეცნიერება, ახლებური ხედვები, ახალი გამოწვევები, ინტელექტუალური პროდუქცია, მეცნიერთა ახალგაზრდა კადრები.

რეზიუმე:

ყურადღებაა გამახვილებული იმაზე, თუ რა ვითარებაშია დღეს მეცნიერება, რას ითხოვს თანამედროვეობა მისგან, რატომ სჭირდება მას ახლებური ხედვები, რა გამოწვევების წინაშე დგას იგი და რა სირთულეები უნდა დაძლიოს.

შემოთავაზებულია დღევანდელი მთელი ჩვენს წინაშე, მთელი სიგრძე-სიგანით დასმული ფუნდამენტური დებულება-დებუნაცია, რასაც დღევანდელი მსოფლიო წესრიგი და გლობალიზაციის მოთხოვნები და მოტივაციები განაპირობებს. ამჟამად, უკვე გამოიკვეთა და მსოფლიო ტენდენციად ჩამოყალიბდა ის, რომ ახალ დროს ახალი ადამიანები ქმნიან და ამას ემატება ისიც, რომ ახალ ადამიანებს ახლებური პირობები სჭირდებათ.

აი, ასეთია მთელი ერის, სახელმწიფოს და თვით მეცნიერთა საზრუნავი, ახლებური ხედვის ძირითადი და მთავარი ორიენტირი, როგორც თვალსაწიერი, ისე შორეული პერიოდისათვის.

ვლინდება, რომ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების საქმიანობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქვეყნის სოფლის მეურნეობის მეცნიერების განვითარების წინაშე დასმულ ამოცანებთან.

აგრარული მეცნიერება ფართო გასაქანს ღებულობდა და დიდ როლს ასრულებდა ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის განმტკიცებაში. შემდგომ ათწლეულებში, ეს სამუშაოები ინტენსიურად გრძელდებოდა და შედეგები წარმატებით ინერგებოდა წარმოებაში.

ასეთმა ფართომასშტაბურმა მუშაობამ მოამზადა ნიადაგი და დაისვა საკითხი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის დაარსების შესახებ.

სახედასმულია, რომ საქართველოში, აგრარულმა მეცნიერებამ დიდი და სახელოვანი გზა განვლო, რამაც გადაწყვეტი გავლენა მოახდინა სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებაზე, მისი დარგობრივი სტრუქტურის სწორად განსაზღვრაზე, ტექნოლოგიურ სრულყოფაზე, საწარმოო-რესურსული პოტენციალისა და წარმოების დონის ამაღლებაზე.

გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან (თანდათანობით) და განსაკუთრებით 60-იანი წლების მომდევნო ათწლეულებში მეცნიერების როლი და ფუნქცია ღრმად გამოვლინდა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. მეცნიერება აუცილებელ ფაქტორ-პირობად ჩამოყალიბდა.

მეცნიერების ანუ ადამიანის ფაქტორის გავლენამ და ზემოქმედებამ წარმოშვა და დაამკვიდრა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოვლა-მოყვანის ახალი, პროგრესული ტექნოლოგიები, დარგის გაძლიერების სისტემები, წარმოსახა სტრატეგიული პოზიციები, რამაც გააძლიერა და ააძლიერა საქართველოს ეკონომიკური ფუნქცია, მისი გეოპოლიტიკური როლი.

გამოკვეთილია, რომ ახალი გამოწვევებიდან და მომავლის ხედვის შესაბამისად, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერების წინაშე ახალი თვალსაწიერი იშლება. წინა პლანზე უნდა წამოიწიოს თეორიული და გამოყენებითი ხასიათის პრობლემებმა, ტექნოლოგიური კუთხის გადაწყვეტებმა; პროგრამირებული სოფლის მეურნეობისა და ბიომრავალფეროვნების უზრუნველყოფი კომპლექსური რეკომენდაციების დამუშავებამ, რომელიც ზონალურად დიფერენცირებულ მიდგომებს დაეფუძნება და გაჯერებული იქნება მრავალვარიანტული სცენარების შესაბამისი, ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით.

ფართო გაგებით, მეცნიერება კულტურის შემადგენელი ნაწილია, ამიტომ, იგი ხელოვნებასთანაც თანაზიარია. თუ ფერწერა საღებავებით ფიქრია, მეცნიერება, ისე როგორც მწერლობა, სიტყვებით ფიქრია. მეცნიერული ნაშრომი უნდა სუნთქავდეს, მას თავისი მუსიკა უნდა გააჩნდეს, თავისი ჩუქურთმა უნდა ქარგავდეს. ასე, რომ, იგი უნებმ ჩარევას ვერ იტანს, ვერ ჰგუობს და არც გიშვებს ახლოს, შესაბამისად.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, თუ რა ვითარებაშია დღეს მეცნიერება, რას ითხოვს თანამედროვეობა მისგან, რატომ სჭირდება მას ახლებური ხედვები, რა გამოწვევების წინაშე დგას იგი და რა სირთულეები უნდა დაძლიოს.

აქვე უნდა შემოგთავაზოთ დღევანდლობის მიერ ჩვენს წინაშე, მთელი სიგრძე-სიგანით დასმული ფუნდამენტური დებულება-დეფინაცია, რასაც დღევანდელი მსოფლიო წესრიგი და გლობალიზაციის მოთხოვნები და მოტივაციები განაპირობებს. ამჟამად, უკვე გამოიკვეთა და მსოფლიო ტენდენციად ჩამოყალიბდა ის, რომ ახალ დროს ახალი ადამიანები ქმნიან და ამას ემატება ისიც, რომ ახალ ადამიანებს ახლებური პირობები სჭირდებათ.

აი, ასეთია მთელი ერის, სახელმწიფოს და თვით მეცნიერთა საზრუნავი, ახლებური ხედვის ძირითადი და მთავარი ორიენტირი, როგორც თვალსაწიერი, ისე შორეული პერიოდისათვის.

ამ ვითარებასა და მოთხოვნას თუ დროულად არ, ან/და ვერ ავუღუთ ალღო და რადიკალური ზომები არ განვახორციელებთ, მაღე ალარ გვეყოლება მეცნიერება და ბედის ანაბარად დარჩება მთელი ქვეყანა და ჩვენი სოფელი.

ამ გადასახედიდან, საჭიროდ მიგვაჩნია უფრო ფართოდ შევხებით და ყურადღება გავამახვილოთ თვით სოფლის მეურნეობის მეცნიერებაზე, რომლის სამოღვაწეო არეალი საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ განმსახვრელ და მიმართულების მიმცემ სფეროს-სოფლის მეურნეობას მოიცავს.

მრავალი დოკუმენტი მოწმობს იმას, რომ ძველ საქართველოში მოძღვრება მცენარეთმცოდნეობისა და მცენარეთა ფიზიოლოგიის შესახებ მკვიდრ ნიადაგზე ყოფილა დაყენებული, რაც საფუძველს იძლევა, როგორც ეს აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა დაადგინა, „აგრონომიული მოძღვრების ზოგიერთი საგულისხმო დებულებაც გამოვარკვიოთ“.

თავიდანვე, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების საქმიანობა მკვიდროდ იყო დაკავშირებული ქვეყნის სოფლის მეურნეობის მეცნიერების განვითარების წინაშე დასმულ ამოცანებთან.

ეს სამუშაოები, შემდგომ ათწლეულებში ინტენსიურად გრძელდებოდა და შედეგები წარმატებით ინერგებოდა წარმოებაში. აგრარული მეცნიერება ფართო გასაქანს ღებულობდა და დიდ როლს ასრულებდა ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის განმტკიცებაში.

ასეთმა ფართომასშტაბურმა მუშაობამ მოამზადა ნიადაგი და დაისვა საკითხი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის დაარსების შესახებ, რომელიც საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისა და აღნიშნული კვლევითი დაწესებულებების წარმომადგენლებით დაკომპლექტდა.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია დაფუძნდა 1957 წლის 12 დეკემბერს. თავდაპირველად მის შემადგენლობაში იყო 14 აკადემიკოსი და 8 წევრ-კორესპონდენტი.

ამჟამად, ამ აკადემიის შემადგენლობაშია 30 ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი) 3 წევრ-კორესპონდენტი და ორი საპატიო წევრი.

საქართველოში, აგრარულმა მეცნიერებამ დიდი და სახელოვანი გზა განვლო, რამაც გადამწყვეტი გავლენა მოახდინა სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებაზე, მისი დარგობრივი სტრუქტურის სწორად განსაზღვრაზე, ტექნოლოგიურ სრულყოფაზე, საწარმოო-რესურსული პოტენციალისა და წარმოების დონის ამაღლებაზე.

გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან (თანდათანობით) და განსაკუთრებით 60-იანი წლების მომდევნო ათწლეულებში მეცნიერების როლი და ფუნქცია ღრმად გამოვლინდა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. მეცნიერება აუცილებელ ფაქტორ-პირობად ჩამოყალიბდა.

მეცნიერების ანუ ადამიანის ფაქტორის გავლენამ და ზემოქმედებამ წარმოშვა და დაამკვიდრა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოვლა-მოყვანის ახალი, პროგრესული ტექნოლოგიები, დარგის გაძლიერების სისტემები, წარმოსახა სტრატეგიული პოზიციები, რამაც გააძლიერა და აამაღლა საქართველოს ეკონომიკური ფუნქცია, მისი გეოპოლიტიკური როლი.

ქართველმა მეცნიერებმა დიდი და წარმატებული სამუშაოები შეასრულეს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა და ცხოველთა ახალი ჯიშებისა და ჰიბრიდების გამოყვანის, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოვლა-მოყვანის პროგრესული, ზონალური ტექნოლოგიების, ნიადაგის დამუშავების, განოყიერების, ნათესებისა და ნარგაობის მოვლის, თესლთმცოდნეობის, თესლბრუნვების სქემების, აგროქიმიური კარტოგრაფების შედგენის, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ ბრძოლის ინტეგრირებული სისტემების დამუშავების, ზონალური პირობების მიხედვით მოდიფიცირებული მანქანათა სისტემებისა და მაღალი სამანქანო ტექნოლოგიების შექმნის, წყლის რესურსების გამოყენებისა და მართვის რეკომენდაციების, კოლხეთის დაბლობის დაშრობისა და სასოფლო-სამეურნეო ათვისების

მიკრო-რეგიონული სისტემის დამუშავების ხაზით, რამაც საფუძველი დაუდო ჩამოყალიბებულიყო სოფლის მეურნეობის გაძლიერების ერთიანი, მეცნიერულად დასაბუთებული კომპლექსური, ზონალური სისტემები.

მნიშვნელოვანი სამუშაოები შესრულდა სოფლის მეურნეობის ეკონომიკის ხაზით. განისაზღვრა სოფლის მეურნეობის საწარმოო ზონალობა, (შესაბამისი სქემის შედგენით), დამუშავდა სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის, გაადგილების, კონცენტრაციის, ინტეგრაციის, კოოპერაციის, ინტენსიფიკაციის ეკონომიკური პარამეტრები, განვითარების ტენდენციები და კანონზომიერებები, დამუშავდა სოფლის მეურნეობის ზონალური და ტიპური გაძლიერების სიტემები, მართვის მოდელები სხვადასხვა დონეზე, ეკონომიკური მექანიზმი და ინსტიტუციური სისტემა, მიწის ეკონომიკური შეფასების პრობლემები, დადგინდა საწარმოო-რესურსული პოტენციალი და მისი განმტკიცების რეკომენდაციები, აგრარული სექტორის ეკონომიკური ზრდის სტრატეგიული სისტემა, შესაბამისი პროგნოზული მახასიათებლებით, რომელიც ითვალისწინებდა მარკეტინგულ მოტივაციებსა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობებთან პირობებს.

თანამედროვე მოთხოვნებიდან და მეცნიერების განვითარების სამომავლო ამოცანებიდან გამომდინარე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიზანია: აგრარული მეცნიერების ყოველმხრივი განვითარების ხელშეწყობის გზით სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნიკურ-ტექნოლოგიური და ეკონომიკურ-ორგანიზაციული სიახლეებისა და მიღწევების გამოყენებისა და დანერგვის ორგანიზაცია, რაც უნდა ეყრდნობოდეს თანამედროვე მსოფლიო წესრიგისა და საბაზრო ურთიერთობათა პირობებში, არსებული და ახლად შესაქმნელი მეცნიერული პოტენციალის შესაძლებლობებსა და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების რაციონალურ კოორდინაციას და რამაც უნდა უზრუნველყოს მეცნიერტექნოლოგიის დონის ამაღლება, ამის საფუძველზე კი საქართველოს სოფლის მეურნეობის პრიორიტეტული, მდგრადი და სტაბილური აღმავლობა და ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის განმტკიცება.

დასახული მიზნიდან გამომდინარე აკადემიის ძირითადი ამოცანები და ფუნქციებია:

- აგრარული მეცნიერების პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა, მისი განვითარებისათვის ხელშეწყობა და მეთოდური უზრუნველყოფა;
- აგრარული მეცნიერების განვითარების პროგნოზირება;
- ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის სამეცნიერო პროგრამების შემუშავება და კვლევითი სამუშაოების კოორდინაცია;
- აგრარული წარმოების განვითარებისათვის ტექნიკურ-ტექნოლოგიური და ეკონომიკურ-ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებებისა და რეკომენდაციების დამუშავება და დანერგვა;
- აგრარული წარმოების ცალკეული დარგის სპეციფიკის მიხედვით მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების მიზნობრივი გამოყენების უზრუნველყოფა;
- მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრირების განხორციელება;
- აგრარულ სფეროში წარმოებული მეცნიერული კვლევის შედეგების ექსპერტიზა;
- აგრარულ ტერმინოლოგიაზე ზრუნვა, მისი სიწმინდის დაცვა და გაუმჯობესება;
- აგრარისკოს მეცნიერთა მიღწევების საერთაშორისო ასპარეზზე წარმოჩენა;
- აგრარულ მეცნიერებასა და სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებით სახელმწიფო პრიორიტეტების შესაბამისი რეკომენდაციების, წინადადებებისა და მისი რეალიზაციის გზების, აგრეთვე პროგნოზული ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრების მომზადება და მთავრობაში წარდგენა, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკური და აგრარული პოლიტიკის სრულყოფასა და განმტკიცებას;
- სამეცნიერო, პრაქტიკული და პოპულარული ხასიათის ნაშრომების მომზადება და გამოცემა;
- სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების, სიმპოზიუმების, კონგრესების, სადისკუსიო შეხვედრებისა და სხვა ამ ხასიათის ღონისძიებების ჩატარების ორგანიზაცია.

2013-2016 წლებში, აკადემიაში, რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო დაფინანსებით ჩატარდა 5 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: 1. „ინოვაციური ტექნოლოგიები აგრარული სექტორის მდგრადი და უსაფრთხო განვითარებისათვის“ (2013 წ.); 2. „კლიმატის ცვლილება და მისი გავლენა სოფლის მეურნეობის მდგრად და უსაფრთხო განვითარებაზე“ (2014 წ.); 3. „გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება“ (2015 წ.); 4. „ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიები სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისათვის“ (2016 წ.).

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრთა ხელმძღვანელობით, ბოლო 10 წელიწადში, შესრულდა 12-ზე მეტი სახელმწიფო საგრანტო პროექტი, რამაც გაამდიდრა აგრარული მეცნიერება.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ 2015 წლიდან ახალი ფუნქცია შეიძინა. დაფუძნდა ფერმერთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო ცენტრი, როგორც აკადემიის შიდა ფორმირება.

ცენტრის მიზანია: ფერმერთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა მომზადება და კვალიფიკაციის სისტემატიური ამაღლება, რომელიც დაეყრდნობა მომავალზე ორიენტირებულ, უწყვეტი სწავლების პრინციპებზე აგებულ და ინფორმაციული ტექნოლოგიებით გაჯერებულ სწავლების ფორმებსა და მეთოდებს, დარგობრივ-რეგიონულ მეცნიერულ-ტექნოლოგიურ საფუძვლებს, გრძელვადიან მარკეტინგულ სტრატეგიას, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ფერმერთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა მიერ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებისა და ახალი ტექნოლოგიების ათვისებასა და დანერგვას, ეკონომიკური მექანიზმის სწორად გამოყენებას და ამ გზით წარმოების მდგრად განვითარებასა და პროდუქციის წარმოების მნიშვნელოვან და დინამიურ ზრდას.

ცენტრის ხაზით, 2016 წელს გამოიცა მონოგრაფია: „ფერმერთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების მეთოდოლოგიურ-თემატიკური მიდგომები და სასწავლო პროგრამები“.

2016 წელს, ახალი მსოფლიო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად დაფუძნდა და პერიოდულად გამოიცემა, განახლებული სახით, „მოამბე“ (სამეცნიერო შრომათა კრებული); დაფუძნდა გამოცემლობა „აგრო“, რომლის ხაზითაც დაიწყო, ფერმერთა დასახმარებლად გამიზნული, ახალ სამეცნიერო გამოცემათა ციკლის-სოფლის მეურნეობის გაძლიერების ტექნოლოგიური რეკომენდაციების ცალკე წიგნების გამოცემა. მას დიდი სამეცნიერო და გამოყენებითი მნიშვნელობა აქვს. აკადემიას შედგენილი აქვს ახალი მოთხოვნებისა და სტანდარტების შესაბამისი „შიდასტრუქტურული ერთეულების თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ფუნქციონურ-თანამდებობრივი მოვალეობანი და სამსახურეობრივი პასუხისმგებლობები“, რომელსაც იყენებს სახელმძღვანელოდ.

ხაზი უნდა გაესვას, რომ აკადემია წევრია და თანამშრომლობს 20-მდე საერთაშორისო ორგანიზაციასთან, მათ შორის: **CGIAR, CACAARI, ICARDA, CIMMYT, ICRISAT, BIOVERCITY, CIP, GIA, BACSA**-სთან. აკადემია არის ევროპის სოფლის მეურნეობის, სურსათის და ბუნების მეცნიერებათა აკადემიების კავშირის წევრი. იგი ფართოდ თანამშრომლობს საზღვარგარეთის ქვეყნების სამეცნიერო ცენტრებთან, გაერთიანებულ ორგანიზაციებთან, კონვენციებში. აკადემიის წევრები, განასაკუთრებით მისი პრეზიდენტი, აქტიურად მონაწილეობენ და მოხსენებებით გამოდიან საერთაშორისო კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა და მსოფლიო კონგრესებში-აშშ-ში, საფრანგეთში, იტალიაში, ესპანეთში, ჩინეთში, კორეაში, პორტუგალიაში, ბულგარეთში, ჩეხეთში, რუსეთში, უკრაინაში, ყაზახეთში, უზბეკეთში, თურქმენეთში, თურქეთში, იორდანიაში და სხვა ქვეყნებში.

აკადემიას, ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები და მემორანდუმები აქვს გაფორმებული: ბელორუსიის, ჩინეთისა და კორეის რესპუბლიკების ეროვნულ და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიებთან, პოლონეთის, უკრაინის, ყაზახეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს აგრარული მიმართულების სამეცნიერო ცენტრებთან, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან, უნივერსიტეტებთან და ფონდებთან.

XXI საუკუნის გამოწვევებიდან, მომავლის ხედვის შესაბამისად, აკადემიის წინაშე ახალი თვალსაწიერი იშლება. მის საქმიანობაში წინა პლანზე უნდა წამოიწიოს ფუნდამენტური, მათ შორის თეორიული და გამოყენებითი ხასიათის პრობლემებმა, ტექნოლოგიური კუთხის გადაწყვეტებმა; პროგრამირებული სოფლის მეურნეობისა და ბიომრავალფეროვნების უზრუნველყოფი კომპლექსური რეკომენდაციების დამუშავებამ, რომელიც ზონალურად დიფერენცირებულ მიდგომებს დაეფუძნება და გაჯერებული იქნება მრავალვარიანტული სცენარების შესაბამისი, ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით.

უნდა გაფართოვდეს სამეცნიერო და საკოორდინაციო-ორგანიზატორული მუშაობა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებისა და შესაბამისად სასურსათო უსაფრთხოების ტექნოლოგიურ და ეკონომიკურ-ორგანიზაციულ პრობლემებზე, რომელიც შეესატყვისება და უპასუხებს ადგილობრივი, ზონალური ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების მაქსიმალური უკუგებით გამოყენების მოთხოვნებსა და მარკეტინგული სტრატეგიის საშინაო და საგარეო მოტივაციებს.

ასეთი მიდგომებიდან გამომდინარე, 2016 წელს, აკადემიაში ფართომასშტაბური სამუშაოები შესრულდა სოფლის მეურნეობის მეცნიერების განვითარების პროგნოზის დასამუშავებლად, რომლის მიხედვითაც გამოიყო ახლებური ხედვის მეცნიერული პრიორიტეტები ცალკეული დარგების (სფეროების) შესაბამისად.

სოფლის მეურნეობის ხაზით განსაზღვრული პრიორიტეტული სამეცნიერო-კვლევითი პრობლემების მეცნიერულად დასაბუთებულმა გადაწყვეტამ ხელი უნდა შეუწყოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკური ზრდის, რესურსული პოტენციალის ეფექტური გამოყენებისა და ლოგიკურად, სასურსათო პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის სახელმწიფოებრივი ამოცანის წარმატებით გადაწყვეტას, შესაბამისად კი საგარეო-ეკონომიკური კავშირების განმტკიცებას და საქართველოს, მსოფლიო ინტეგრირებულ პროცესებში სტაბილურად ჩართვას.

მომავლის ხედვის შესაბამისად, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში შეიქმნა მეცნიერების განვითარების ხელშემწყობი ფონდი, რომელიც ჯერ ერთი, ხელს შეუწყობს მეცნიერტევადობის დონის ამაღლებას და მეორეს მხრივ-მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრირებულ განვითარებას

ეს, ახლებური ხედვები ნებისმიერ სფეროში უნდა ეხმიანებოდეს და ეფუძნებოდეს ახლებურ ინფორმაციულ ტექნოლოგიებს, რადგანაც XXI საუკუნე მხოლოდ ახალ ტექნოლოგიებზე აგებულ მეცნიერებას ცნობს და გასაკვირი უკვე აღარ არის, რომ თვით ეკონომიკაც და ბიზნესიც გაიგება როგორც ტექნოლოგია. ეს, ბევრისმეტყველია.

ამ სიბრტყეში ჩანს კადრების აღზრდის პრობლემაც, რაც გადაუდებლად სვამს საკითხს იმის შესახებ, რომ აკადემიის სისტემაში აღდგეს: სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, ასპირანტურა, მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭების სისტემა და სპეციალიზებული სადისერტაციო საბჭოები.

პარადიგმად იკვეთება ის მოთხოვნა, რომ ახალგაზრდა კადრები XXI საუკუნის თავისებურებებს და გამოწვევებს უნდა მოერგონ, რათა მომავლის ტექნოლოგიურ სამყაროში თავის ადგილზე აღმოჩნდნენ. ამას, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ახლა ჩვენი ნებისაგან დამოუკიდებლად მიმდინარეობს მატერიალური ფასეულობების დიდი ტრანსფორმაცია ინტელექტუალურ ფასეულობებზე.

თავის დროზე შემოღებული აკადემიური დოქტორის მინიჭება (დააკვირდით: არა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის) და მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის აკადემიურ დოქტორთან გაიგივება-გათანაბრება (სადაც ამოვარდნილია განსაზღვრება „სამეცნიერო ხარისხი“), რაღაც გაუგებარი, გაურკვეველი და გამოუმცხვარი ფორმა იყო და მისი შემოღება მეხის გავარდნას გავდა, რამაც, სხვა რომ არა იყოს რა, შებიღწა და უსახო გახადა მეცნიერება. ამ წახნაგიდან გავხედოთ სხვა ქვეყნებსაც. მათგან ბევრ კარგს ვისწავლით და გავითვალისწინებთ. რაღა მაიცადამინც ჩვენ უნდა მოვიგონოთ ხოლმე რეალობასთან ახლოსაც არ მდგომი რაღაც ახალი, რაც ბლალავს მშვენიერებას.

კანონმდებლობამ უნდა დაადგინოს ისიც, რომ გათანაბრდეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრთა ანაზღაურება და დაშვებული აღარ იყოს დისკრიმინაციული მიდგომა. ასევე უნდა მიეცეთ ანაზღაურება აკადემიის სამეცნიერო განყოფილებათა აკადემიკოს-მდივნებს. იბადება არა მხოლოდ კითხვა, არამედ მოთხოვნად ყალიბდება აზრი: რატომ განსხვავდებიან აკადემიკოსებს სახელმწიფო აკადემიებს შორის, მათ, ყველას ერთნაირი პირობები უნდა შეექმნათ და თანაბარი ანაზღაურებაც მიეცეთ. ამ მიმართულებით კანონმდებლობაში აუცილებლად უნდა შევიდეს შესწორება, რაც რთული საქმე არ არის.

მეცნიერების ბოლოდროინდელმა რეფორმებმა იქამდე მიგვიყვანა, რომ რადგანაც შეწყდა ახალგაზრდობის ლტოლვა მეცნიერებისადმი და გაურკვეველია, მათთვის სამეცნიერო ხარისხების მტკიცე და თანამედროვეობაზე მორგებული კვალიფიკაციის ამალგების სისტემა (მხედველობაში გვაქვს სამეცნიერო ხარისხის მინიჭება) საგალალო მდგომარეობაში და განწირული აღმოჩნდა მთელი მეცნიერება. მეცნიერება ბერდება, მეცნიერთა ე.წ. ფერტალური ასაკი (პერიოდი) რეგულირების მიღმა და გამოუყენებელი რჩება. ეს, ძალზე საგანგაშოა საქართველოსათვის.

უნდა ითქვას იმის შესახებაც, რომ ზოგიერთ მეცნიერს ძალა აღარ შესწევს ღირებული, აკადემიური და პროფესიულად გამართული მეცნიერული პროდუქცია შექმნას, თვალი გაუსწოროს ინტელექტუალური ბუმის საუკუნის პროგრესულ მოთხოვნებს, მოტივაციებს, შესაძლებლობებს. აი, რა არის დღეს, უფრო მეტად საგანგაშო და საგალალო მეცნიერებისათვის, აი, სად და რა კუთხით გვმართებს დაკვირვება და გადამჭრელი ზომების გატარება, პირველ რიგში თვით მთავრობის მხრიდან და არა ე.წ. ჩიტირეკიობა და უსახურ კანონმთხოველობაზე დროის ხარჯვა.

ჩვენს მსჯელობას დასრულებული სახე არ ექნება თუ არ აღვნიშნეთ მომავლის ხედვის ერთი პროგრესული პოზიციის შესახებაც. მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებში გათვითცნობიერებულ ადამიანს უკვე კარგად ესმის, რომ XXI საუკუნეში, მსოფლიო ლიდერის პოზიციებს დაიკავებენ მხოლოდ ის ქვეყნები, რომლებიც შეძლებენ წარმატებით ივაჭრონ მეცნიერული იდეებითა და მაღალი ტექნოლოგიებით; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რომლებიც წარმატებით განავითარებენ ცოდნის ეკონომიკას.

საქართველოსათვის, თავისი დიდი მეცნიერული ტრადიციებისა და მიღწევების, აგრეთვე ჯერ კიდევ მდიდარი და ღონიერი მეცნიერული პოტენციალის გათვალისწინებით, მსოფლიო ბაზარზე, მომგებიანად (თავის სასარგებლოდ) გაღწევის ყველაზე მნიშვნელოვანი სიმიდირე, სწორედ ინტელექტუალური პროდუქტია, რომლის პრიორიტეტი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავაკინნ-გავაუფასუროდ.

გავხედოთ XXI საუკუნეს, მივყვეთ ახლებურ ხედვებს, მხარი ავუბათ ახალ გამოწვევებს. ამისათვის კი, არც მეტი და არც ნაკლები მეცნიერთა ახალგაზრდა კადრების მძლავრი სისტემის შექმნა და მათთვის შესაბამისი პირობების, გატაცებების, ინტერესთა არსენალის გაზრდაა საჭირო. ამ (განსაკუთრებით მატერიალური) მიმართულებით უნდა ვეძიოთ გამოსავალი, არადა, მეცნიერება დადგება გადაგვარებისა და გაჩანაგების პირას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გალექსიძე, გ.ჯაფარიძე, ო.ქეშელაშვილი-სოფლის მეურნეობის მეცნიერების განვითარების პროგნოზი. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა; თბილისი, 2015: 6-7; 17-19; 60-64.
2. გალექსიძე, გ.ჯაფარიძე, ო.ქეშელაშვილი-ფერმერთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების სისტემა. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა; თბილისი, 2015: 5-6.
3. გალექსიძე, გ.ჯაფარიძე, ო.ქეშელაშვილი-აგრარული მეცნიერების თვალსაწიერი, განვითარების პრიორიტეტები და ხელშეწყობის სისტემური უზრუნველყოფა. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“ (სამეცნიერო შრომათა კრებული), №1(35), თბილისი, 2016, 5-6.
4. ო.ქეშელაშვილი, გ.ჯაფარიძე-სოფლის მეურნეობის აღმავლობისა და მდგრადი განვითარების სტრატეგიულ-პრიორიტეტული მიმართულებები. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე №34, თბილისი, 2015, 354-365.
5. ო.ქეშელაშვილი-მომავლის სოფლის მეურნეობა, გამომცემლობა „არეალი“; თბილისი, 2017, 22-44, 58-68.

Georgian Academy of Agricultural Sciences: New Vision, New Challenges

Guram Aleksidze -Academician of the Georgian Academy of Agricultural Sciences,

Givi Japaridze - Academician of the Georgian Academy of Agricultural Sciences,

Omar Keshelashvili - Academician of the Georgian Academy of Agricultural Sciences

Key words: Science, new vision, new challenges, agrarian science, Georgia, intellectual product, young generation of researchers

Abstract

The article addresses the problem of current development tendencies of science, new visions and recent challenges it faces today, and the difficulties it has to deal with.

The article offers fundamental definition which is dictated by present-day world order, global demands and motivations. New world is created by the people who need new conditions for making science which is the key challenge for the states.

The work of scientific – research institutes in Georgia was closely connected with the solution of problems for the sustainable development of agriculture. The scientific research results were implemented successfully in industry of agriculture and played crucial role in defining and growth of agrarian fields, as well as modernization of the industrial processes. This created a solid basis for founding of the Academy of Agricultural Sciences of Georgia.

Both – human factor and modern scientific approaches created the basis for sustainable management and new strategic approaches in agriculture raising and strengthening economic functions of Georgian agriculture and its geopolitical role in the region.

The article focuses on the most recent challenges today Georgian agricultural sciences faces today. The focal point should be the problems of theoretical and applied character, wide application of modern technologies based on malty-version scenario which will result in working out complex recommendations based on zonal differentiating and bio-diversity approach principle.

მეცნიერება plant-industry

ხორბლის წარმოების სტრატეგია და მისი როლი საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობაში

ლევან უჯმაჯურიძე - ს/მ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
ცოტნე სამადაშვილი - ს/მ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
გულნარი ჩხუტიაშვილი - ს/მ აკადემიური დოქტორი

საკვანძო სიტყვები: ხორბალი, ენდემური სახეობები, აბორიგენული ჯიშები, მოსავალი, ხარისხი.

რეზიუმე

ხორბალი, საქართველოს კულტურული ფლორის ერთ-ერთი უძველესი მცენარეა. საქართველოში არსებულმა პირველადმა სახეობებმა ახსნა ხორბლის გვარის ფილოგენეზი და დაამტკიცა, რომ ხორბლის სახეობათა მრავალფეროვნებით საქართველო უნიკალურია მთელ მსოფლიოში. საქართველოს ხორბლებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე ეპოქის ახალი ტიპის ხორბლის შექმნის საქმეში. საქართველოს მრავალი ენდემური სახეობა და ფორმა გამოირჩევა სოკოვანი დაავადებების მიმართ ფენომენალური კომპლექსური იმუნიტეტით, მავნებლებისადმი გამძლეა და მაღალი ბიოქიმიური მაჩვენებლების მქონეა. ამ ნიშნების გამო ისინი საუკეთესო გენეტიკურ წყაროს წარმოადგენენ ინტენსიური ტიპის ჯიშების მისაღებად და ჰიბრიდული ხორბლის პრობლემის გადასაწყვეტად. მეტად მნიშვნელოვანია საქართველოს ხორბლის აბორიგენული ჯიშ-პოპულაციები, რომლებიც წარმოადგენილი არიან ეკოლოგიური ჯგუფების სახით და ახასიათებთ მთელი რიგი ძვირფასი ნიშან-თვისებები.

საქართველოს ტერიტორიაზე ადგილი ჰქონდა ხორბლის სახეობათა წარმოქმნის პროცესს, კაცობრიობისათვის მნიშვნელოვანი სახეობების ფორმირებას, როგორცაა რბილი და მაგარი ხორბლები. ქართველ ხალხს შესწევდა უნარი, ამ ბუნებრივ გენეტიკურ ლაბორატორიაში გამოერჩია და “ოქროს ზოდები” ეანდერძა თანამედროვეობისათვის.

საქართველო და ხორბლის კულტურა. ისტორიული წყაროების საფუძველზე დადგენილია, რომ ქართველ ტომთა წინაპრებს ჯერ კიდევ ჩვ.წ-მდე მრავალი საუკუნით ადრე განვითარებული სოფლის მეურნეობა ჰქონდა. პირველი ძეგლები მიწათმოქმედების ცივილიზაციის შესახებ მეზოლითით თარიღდება. არქეოლოგიური გათხრებით დასტურდება, რომ ხორბალი საქართველოში უძველესი კულტურაა. ამ მასალების მიხედვით საქართველოში არსებულმა პირველადმა სახეობებმა ახსნა ხორბლის გვარის ფილოგენეზი და დაამტკიცა, რომ ხორბლის სახეობათა მრავალფეროვნებით ჩვენი ქვეყანა გამორჩეულია მსოფლიოში. ხორბლის მსოფლიო ინტელექტის ისტორია იწყება ჩვენი ქვეყნიდან. ამ მხრივ აღსანიშნავია ხორბლის ისეთი სახეობები, როგორებიცაა: ზანდური, კოლხური ასლი, დიკა და მახა.

საქართველოში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებიდან ხორბალი პირველად აღმოჩენილია კოლხეთში. აქ გამოვლინდა კილიანი – *T. georgicum* Dek., *T. palaeo-colchicum* Men., *T. Macha* Dek. et Men, და შიშველმარცვლიანი ხორბალი *T. aestivum* L.. შულავერში ჩატარებულ გათხრებში, რომელიც თარიღდება ძვ.წ. აღრიცხვის V-IV ათასი წლით, აღმოჩენილია რვა სახეობა *T. monococcum* L., *dicoccum* Schuebl. *T. georgicum* Dek. – *T. palaeo-colchicum* Men, *T. durum* Desf., *T. spelta* L. *T. aestivum* L. *T. turgidum* L., *T. compactum* Host. ბოლნისში ჩატარებულ გათხრებში, რომელიც მიეკუთვნება ძვ.წ. აღრიცხვის VI-V ათას წელს, გამოვლენილია ხორბლის ხუთი სახეობა – *T. monococcum*, *T. georgicum* Dek.-*T. palaeo colchicum* Men. *T. Macha*, *T. durum*, *T. aestivum* დღემდეა შემორჩენილი კილიანი ხორბლის ასაღები, კულტურული ენდემური ელემენტი, ორგინალური და მარტივი იარაღი შნაქვი (8,10,11).

მსოფლიოში აღწერილი ხორბლის 27 სახეობიდან საქართველოში აღრიცხული და რეგისტრირებულია 14 ბუნებრივი სახეობა, მათ შორის 5 ენდემური სახეობაა - *T. timopheevii* Zhuk, *T. carthlicum* Nevskiy, *T. palaeo-colchicum* Men., *T. Macha* Dek. et Men, *T. zhukovskiy* Men. et Eriz. ასევე აღწერილი და რეგისტრირებულია 144 სახესხვაობა და ჯიშპოპულაცია. საქართველოს ხორბლის ბაზაზე მიღებულია 4 ახალი სახეობა-მილიტიანაე, კიხარა, ტიმონოუმი და ფუნგიციდუმი. სწორედ ამიტომ, საქართველო, როგორც ხორბლის წარმოშობის პირველად კერას აღიარებენ მსოფლიოს გამოჩენილი მეცნიერები: ნ. ვავილოვი, მაკ-კეი, პ.ჟუკოვსკი, მ. იაკუბცინერი, ვ. დოროფევი, ლ. დეკაპრელევიჩი(4, 7-12).

ქართული ენდემური სახეობები ხასიათდება უნიკალური თვისებებით, რის გამოც ითვლებიან საუკეთესო გენეტიკურ წყაროდ მსოფლიო სელექციაში. განსაკუთრებით მსოფლიოს ტრიტიკოლოგთა ყურადღების ცენტრშია: ჩელტა ზანდური, დიკა-კარტლიკუმი და ჰექსა-პლოიდური ზანდური(ჟუკოვსკი) რომელიც, ხასიათდება სოკოვანი დაავადების მიმართ ფენომენალური კომპლექსური იმუნიტეტით. ჩელტა ზანდური გამოირჩევა მარცვალში მაღალცილიანობით და პურცხობის მაღალი ხარისხით. ენდემური სახეობა კოლხური ასლი ხასიათდება ნაცრის სხვადასხვა რასისადმი გამძლეობით. ხორბალი მახა ხასიათდება მცენარეზე ფოთლების დიდი მასის განვითარებით და ღეროს სიმტკიცით, კარგად იტანს ჭარბ ტენიანობას.

საქართველოს რბილი ხორბლის აბორიგენული ჯიშ-პოპულაციები გამოირჩევა დიდი მრავალფეროვნებით, რომლებიც წარმოდგენილია ეკოლოგიურ ჯგუფებად და ხასიათდებიან დაბალი, მაგრამ ძალიან მყარი მოსავალით. კარგად ეგუებიან მკვეთრად ჭრელ ნიადაგურ და კლიმატურ პირობებს. მათი ჩანასახოვანი პლაზმა ატარებს თანამედროვე ინტენსიური ტიპის ჯიშებისათვის საჭირო აუცილებელ ნიშან-თვისებების გამაპირობებელ გენებს(4): 1. მოკლე და მტკიცედეროიანობა; 2. დაავადებებისადმი გამძლეობა; 3. მცენარის სწრაფად განვითარება; 4. ფერტილობის აღდგენა; 5. მომწიფებისას მარცვლის ცვენადობისადმი გამძლეობა; 6. თავთავიდან მარცვლის ადვილად გამოლეწვა; 7. მარცვალში ცილის და შეუცვლელი ამინომჟავების გადიდებული შედგენილობა; 8. მსხვილ მარცვლიანობა; 9. დაფქვისა და პურცხობის მაღალი ხარისხი; 10. გრძელთავთავიანობა; 11. მცენარის ფართოფოთლიანობა; 12. მსხვილთავთავიანობა; 13. ადრეულობა; 14. გამომცხვარი პურის ხანგრძლივად შენახვისუნარიანობის გამაპირობებელ გენი;

ქართველი ხალხის ისტორიული გამოცდილება ხორბლის წარმოებაზე ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში. მე-19 საუკუნის ბოლოსთვის საქართველო ხორბლის მოსავალს 1:9-თან შეფარდებით ღებულობდა. კიდევ უფრო შთამბეჭდავია მე-20 საუკუნის 70-იანი წლების მონაცემები. 1993 წლიდან მიწის არასწორმა და წიდაუხედავად განხორციელებულმა პრივატიზაციამ მთლიანად მოშალა აგრარული დარგის ყველა მიმართულება. განსაკუთრებით დაზარალდა ხორბლის კულტურა, რაც გამოწვეული იყო უპირველესად ტექნიკის უქონლობით, პესტიციდების ხელმიუწვდომლობით, სიძვირითა და სხვა. თესლბრუნვის სისტემის იგნორირების შედეგად წლების განმავლობაში ერთი და იმავე ნაკვეთზე ითესებოდა ხორბალი, რამაც გამოიწვია ნიადაგის ცალმხრივად გაღარიბება და მოსავლიანობის მკვეთრი დაცემა. სამწუხაროდ დღეისათვის ხორბლის ნათესი ფართობი არ აღემატება 100 ათას ჰა-ს. ყველაზე წარმატებულ პერიოდში ხორბლის ნათესი ფართობი კი 220-230 ათასი ჰა იყო.

ტრადიციულად, საქართველო პურის მომთხოვნი ქვეყანაა. ერთ სულ მოსახლეზე 150-160 კგ-ის ფარგლებში მერყეობს. საქართველოს წლიური მოთხოვნილება სასურსათე ხორბლის მარცვალზე 700-800 ათასი ტონაა, ხოლო საფურაჟეზე 350 ათას ტონამდე. საქსტატის მონაცემებით ყოველწლიურად ვყიდულობთ 774 000 - 791 000 ტონას. სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით: ქვეყანაში ყოველწლიურად დაუთესავი რჩება 300 000-400 000 ჰექტარი სახნავი მიწები.

დღეისათვის საქართველო თითქმის მთლიანადაა დამოკიდებული იმპორტირებულ ხორბალზე, არადა გასათვალისწინებელია, რომ მსოფლიოში არახელსაყრელი კლიმატური თუ სხვა ფორსმაჟორული პირობების გამო, შეიძლება, იმდენად შემცირდეს ხორბლის რესურსი, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდოს მისი თვითღირებულება, შესაბამისად სარეალიზაციო ფასიც.

ხორბლის სტრატეგია: ამ საშიშროებების თავიდან ასაცილებლად საჭიროა შეიქმნას ქვეყნის ხორბლის მარცვლით უზრუნველყოფის სტრატეგია და გაიზარდოს ხორბლის ფართობი, მაქსიმალურად გავზარდოთ ხორბლის მოსავალი. ანალიზი გვიჩვენებს, რომ მარცვლეულის

წარმოება ფერმერებისთვის ხელსაყრელი რომ გავხადოთ საჭიროა, ჯანსაღი სერთიფიცირებულ დარაიონებულ სათესლე მასალასთან ერთად ყველგან გამოვიყენოთ ინტენსიური ტექნოლოგიები.

საქართველოში ხორბლის წარმოების ძლიერი მხარეებია: 1. კლიმატური პირობები; 2. ბაზრის არსებობა/მოთხოვნილება; 3. თავისუფალი ფართობები; 4. მოვლა-მოყვანის ტრადიციები;

სამწუხაროდ, დღეისათვის ხორბლის წარმოებას გააჩნია სუსტი მხარეებიც: 1. ხარისხიანი სათესლე მასალის დეფიციტი; 2. სელექცია - მეთესლეობის სისტემის მოშლა; 3. ნიადაგის დაბალი ნაყოფიერება; 4. დანაწევრებული ფართობები; 5. თანამედროვე ტექნოლოგიების არცოდნა; 6. აგროვადების დარღვევა; 7. მოსავლის აღების შემდგომი ტექნოლოგიებისა და ინფრასტრუქტურის ხელმიუწვდომლობა; 8. ფერმერებსა და მყიდველებს შორის წინასწარი საკონტრაქტო სისტემის მოუწესრიგებლობა; 9. კვალიფიციური კადრების ნაკლებობა;

ხორბლის წარმოების სწორი სტრატეგია უზრუნველყოფს: იმპორტის ნაწილობრივ ჩანაცვლებას; მოსავლიანობის გაზრდას; ხარისხიანი პროდუქციის წარმოებას; ნათესი ფართობების გაზრდას; ფერმერთა ცოდნის დონის და ცნობიერების ამაღლებას;

მნიშვნელოვანია, რომ საქართველო, რომელიც მსოფლიოს სხვა ქვეყნებს შორის გამოირჩევა მაღალი სახეობრივი ენდემიზმით და პოლიმორფიზმით, ჩამოყალიბდა რბილი ხორბლის, მაგარი ხორბლის და დიკას მრავალფეროვანი ჯიშ-პოპულაციები. პრაქტიკული სელექციის თვალსაზრისით, ისინი ხასიათდებიან ძვირფასი და უნიკალური ნიშან-თვისებებით. პირველ რიგში აღსანიშნავია საქართველოს მრავალფეროვან ნიადაგურ-კლიმატურ პირობებთან ადაპტაციის მაღალი უნარი.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული ენდემური ჯიშებისათვის უმეტესად დამახასიათებელია დაბალი მოსავლიანობა, რაც კომერციული თვალსაზრისით ერთ-ერთი მიზეზია მათი წარმოებიდან თანდათანობით გაქრობისა და გადაშენების საშიშროების წარმოქმნისა, უნიკალური ჯიშობრივი და ხარისხობრივი თვისებების გამო, ისინი მდიდარ გენეტიკურ მასალას წარმოადგენენ და მნიშვნელოვანია სამეცნიერო კვლევებისათვის. ამიტომ ხორბლის სტრატეგიამ უნდა უზრუნველყოს ადგილობრივი ჯიშების შენარჩუნება და გამრავლება. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია რბილი ხორბლის აბორიგენული ჯიშები: ქართული თეთრი დოლის პური, ქართლის წითელი დოლი, ახალციხის წითელი დოლის პური, კახური დოლის პური, დიკა და სხვ.

ხორბლის წარმოების სტრატეგიაში გათვალისწინებულია ინტენსიფიკაციის პრინციპები: მეთოდი გულისხმობს ნიადაგის განოყიერებას, მინიმალურ დამუშავებას, რომელიც ხელს უწყობს სასურველ ტენიანობას, ჰაერიზაციას, მცენარის კვებას და ფესვთა სისტემის განვითარებას, ეხმარება მცენარეს სწრაფ განვითარებაში, ზრდაში და თესვის ნორმის ოპტიმიზაციას (180 – 220 კგ) 1 ჰა-ზე.

ხორბლის ინტენსიფიკაციის სისტემა დაფუძნებულია 2 პრინციპზე:

1. ფესვის განვითარება;
2. ინტენსიური დაცვა;

ფესვის განვითარება ხორბლის ჯანსაღი ზრდისა და მისი განვითარების პირველი ეტაპია. ამისათვის ის მოითხოვს სათანადო გამოკვებას და მცენარეთა შორის საკმარის სივრცეს.

ინტენსიური დაცვის სისტემამ კი უნდა უზრუნველყოს ნათესის ზრდის ყველა ეტაპზე სარეველებთან და მავნებელ-დაავადებების თავიდან აცილება.

ხორბლის ინტენსიფიკაციის სისტემაში აუცილებელია გამოყენებული იქნეს ხანგრძლივი დაკვირვებისა და კვლევის შედეგად თითოეული რაიონისათვის შერჩეული მაღალი ხარისხის ხორბლის ჯიში, რომელმაც გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშოს მისი პროდუქტიულობის და ხორბლის მოსავლის გაზრდაში. სავალდებულოა თესლის შეწამვლა, რათა თავიდან იქნეს აცილებული დაავადებები, მათ შორის სოკოვანი.

ინტენსიფიკაციაში მნიშვნელოვანია ირიგაცია. სამწუხაროდ საქართველოს ხორბლის მთესველი რაიონების დიდი ნაწილი განთავსებულია ურწყავ ზონაში. ამ ზონისათვის აუცილებელია შეირჩეს დარაიონებული შედარებით გვალვაგამძლე ჯიშები, გატარდეს ტენდაგროვებითი სამუშაოები, როგორცაა ნიადაგის დროული დამუშავება, მცენარეთა ანარჩენებით მულჩირება, ქარსაფარების მოწყობა, აგროვადებში თესვა და ზამთარში მოსული თოვლის საფარის მაქსიმალური გამოყენება. სარწყავი სისტემებით უზრუნველყოფილ ნიადაგებზე უნდა

ჩატარდეს დროული და ხარისხიანი რწყვა, რომელიც უზრუნველყოფს მაღალ, მდგრად და ხარისხიან მოსავალს.

ხორბლის სტრატეგიის შემუშავებამ უნდა უზრუნველყოს საქართველოში ხორბლის მოსავლიანობის მნიშვნელოვანი გაზრდა. თუ რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის ამ სტრატეგიის განხორციელება, ივანე ჯავახიშვილს გავიხსენოთ, რომელიც ბრძანებდა: “თუ საქართველოში სწორი სახელმწიფოებრივი ხედვა იქნება, ხორბლის მარცვალი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გარანტი გახდებაო”. მთელ მსოფლიოში ასეა, ამრიგად გავითვალისწინოთ ქართველი ერის ტრადიციები, გავიღრმავოთ ცოდნა და განვახორციელოთ ხორბლის წარმოების სტრატეგია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სოფლის მეურნეობის განვითარების კონცეფცია. www.tetebi.org/wp-content/uploads/2012/02/ტასი.
2. რეგიონული განვითარება და სოფლის მეურნეობა. <http://www.enpard.ge>
3. ნასყიდაშვილი პ. და სხვ. ხორბლის სელექცია საქართველოში. თბილისი. 1983.
4. ჩხეიძე შ. მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების დაცვის მდგომარეობა საქართველოში. ჟ. აგრარული საქართველო 2. 2016
5. კოლუაშვილი პ., ბახტაძე დ. პურის ისტორიული მნიშვნელობა და საქართველოს როლი. ჟ. აგრარული საქართველო 2. 2016
6. Н. Вавилов(1966) Азия-источник видов. Растительные ресурсы. т. 2, вып. 4. 577-80(руссиан)
7. Л. Декапрелевич(1954) Виды, разновидности и сорта пшениц Грузии. Тр. Ин-та полеводства АН ГССР. т. 8. 3-58(руссиан)
8. В. Дорофеев (1972) Пшеницы Закавказья. Тр. по прикладной ботанике, генетике и селекции. т. 47. вып. 1. 3-206(руссиан).
9. А. Горгидзе (1977) Филогенетика грузинских эндемичных пшениц. Мецნიერება. 5-200(руссиан).
10. В. Менабде (1948) Пшеницы Грузии. Институт ботаники. 3-256(руссиан).
11. П. Жуковский (1971) Культурные растения и их сородичи. Ленинград. 5-752(руссиан).

The strategy of wheat production and its role in the state independence of Georgia

Levan Ujmajuridze-Professor, Doctor of agricultural sciences,

Tsotne Samadashvili-Professor, Doctor of agricultural sciences,

Gulnari Chkhutiashvili-Academic doctor of Agriculture,

Key words: wheat, endemic types, native varieties, harvest, quality.

Abstract

In Georgia, which among other countries of the world differs in a high specific endemism and polymorphism were developed numerous variety-populations of soft wheat, hard wheat and Dika. From the point of view of practical breeding they are characterized by valuable and unique signs and properties: 1. Short and stable stem; 2. Resistance to diseases; 3. Quick development of a plant; 4. Recovery (regeneration) of fertility; 5. Falling resistance of matured grains; 6. Easy thrashing of grains; 7. The increased content of proteins and irreplaceable amino acids in grains; 8. Large grains; 9. High quality of grain grinding and bread baking; 10. Long ears; 11. Wide leaves of a plant; 12. Big ears; 13. Early ripeness; 14. The gene causing long-term storage of the baked bread.

In Georgia it is necessary to develop strategy of providing the country with grain and to increase wheat acreage for as much as possible to raise a grain yield.

The carried-out analysis shows that in order to make grain production profitable for our farmers, along with the healthy, certified and zoned seeding material, it is necessary to use intensive technologies everywhere.

Strong sides of production of wheat in Georgia are: 1. Climatic conditions; 2. Market/requirement availability; 3. Free areas; 4. Tradition of wheat cultivation.

Unfortunately today production of wheat has also weak sides: 1. Deficit of high-quality seeding material; 2. Lack of system of selection seed farming; 3. Low productivity; 4. The scattered sites; 5. Inaccessibility of modern technologies; 6. Non-compliance with agrotterms; 7. Inaccessibility of postharvest technologies and infrastructure; 8. Disorder of preliminary contacts system between farmers and buyers.

The correct strategy of production of grain will provide: partial import substitution; increase in productivity; production of high-quality products; increase in acreage; increase in consciousness and level of knowledge of farmers.

საშემოდგომო ხორბლის მარცვლის ტექნოლოგიური ხარისხის მართვა

ბონდო ბოლღაშვილი-სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი

საკვანძო სიტყვები: ხორბალი, წინამორბედები, სასუქები, ტექნოლოგიური ხარისხის მართვა.

რეზიუმე

მოცემულია გარე კახეთის ზეგნის-მარცვლეულის წარმოების ძირითადი ზონის პირობებში საშემოდგომო ხორბალზე წინამორბედების, მინერალური სასუქების, კლიმატური და მეტეოროლოგიური პირობების გავლენა, მათი რეგულირების ღონისძიებები. საკითხი განხილულია გვალვიანი, არასაკმარისი ტენიანობის, მყარი ტენიანობის, საკმარისი ტენიანობის ზონების მიხედვით.

მრავალრიცხოვანი გამოკვლევებით დადასტურებულია, რომ საშემოდგომო ხორბალი უფრო მომთხოვნიანია წინამორბედებისადმი, ვიდრე სხვა კულტურები. კულტურა მაღალ მოსავალს იძლევა იმ პირობით, თუ ზამთრის დადგომამდე კარგად ვითარდება ფესვთა სისტემა, მიწისზედა ვეგეტაციური მასა. ეს უმთავრესად დამოკიდებულია წინამორბედი კულტურის ბიოლოგიურ თავისებურებებზე, წინამორბედი კულტურა უნდა იყოს მოკლე ვეგეტაციისა და მოსავალიც ადრე აიღებოდეს. ეს პირობა იმას განაპირობებს, რომ მარცვალი ტენით უზრუნველყოფის პერიოდში ფორმირდება, აგრეთვე მინდორი ადრე თავისუფლდება, რაც საშუალება იძლევა ფართობი ნორმალურად დამუშავდეს და შენარჩუნდეს საკმარისი რაოდენობის საკვები ნივთიერებები და ტენი.

როგორც დაკვირვებები მოწმობს, საშემოდგომო ხორბლის მოყვანა ურწყავ რეგიონებში, რაც უფრო ადრე ათავისუფლებს წინამორბედი კულტურა დაკავებულ მინდორს, მით უფრო უკეთესია.

წინამორბედებიდან რეკომენდაცია უნდა მიეცეს:

გვალვიან ზონაში: სუფთა და შავ ანეულესს, სამარცვლე პარკოსნებს, სიმინდს (უფრო მეტად სასილოსესა და ფართო მწკრივებად ნათესს), მრავალწლიან ბალახებს, პირველი გათიბვის შემდეგ და სხვა.

არასაკმარისი ტენიანობის ზონაში: სუფთა ანეულესს, სამარცვლე-პარკოსან კულტურებს, მრავალწლიან და ერთწლიან ბალახებს, სიმინდს-მწვანე საკვებად.

არამყარი ტენიანობის ზონაში: სუფთა ანეულესს, მწვანე საკვებად გამოყენებულ ერთწლიან და მრავალწლიან ბალახებით დაკავებულ ანეულესს, სამარცვლე პარკოსნებს, სასილოსე სიმინდს.

საკმარისი ტენიანობის ზონაში: მრავალწლიან და ერთწლიან ბალახებს, დაკავებულ ანეულესს, სამარცვლე-პარკოსან კულტურებს, სიმინდს მწვანე საკვებად და სასილოსედ.

დაკვირვებებმა გვიჩვენა, რომ საქართველოში წინამორბედები დადებითად მოქმედებს არა მარტო მიღებული მოსავლის საერთო რაოდენობაზე, არამედ მარცვლის ხარისხზე და ნათესების დაზიანებაზე, ზამთრის განმავლობაში. დღეისათვის ცნობილია, რომ ხორბლის სწორად გაადგილება წინამორბედებზე ადიდებს არა მარტო მარცვლის მოსავალს, არამედ მის ხარისხსაც. ეს განსაკუთრებულად შეიმჩნევა თესლობრუვაში, განოყიერების ფონზე.

წინამორბედის მნიშვნელობა საშემოდგომო ხორბლის მოსავლის რაოდენობისა და ხარისხის უზრუნველსაყოფად საკმაოდ დიდია. ამ შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაშია გარე კახეთის ზეგანი-მარცვლეულის ძირითადი ზონა. ამ რეგიონის ნიადაგურ-კლიმატური პირობების მთავრი თავისებურება აშკარად გამოხატული ტენის ნაკლებობაა. ამასთან, აქ ნიადაგის დატენიანების ერთადერთი წყარო ატმოსფერული ნალექებია, რომელთა განაწილება წლის განმავლობაში არათანაბარია, ამიტომ, კულტურის მაღალი და სტაბილური მოსავლის უზრუნველყოფა მხარის სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

აღნიშნული ზონის პირობებში საშემოდგომო ხორბლის (თავათავიანი კულტურების) წინამორბედების ღირსების თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ვეგეტაციის ხანგრძლივობას და მოსავლისაგან ფართობის განთავისუფლების ვადებს.

საშემოდგომო ხორბლის მოსავალი(ტ/ჰა) წინამორბედების მოსავლის ალების ვადების მიხედვით

წინამორბედი	წინამორბედის ალების საშუალო ვადა	დღეთა რაოდენობა წინამორბედის ალების საშ.ვადიდან საშემოდგომო ხორბლის თესვამდე	საშემოდგომო ხორბლის მოსავალი
ბარდა მწვანე საკვებად	26.05	134	4.23
ბარდა მარცვლად	22.06	108	3.73
საშ.ხორბალი	10.07	90	3.43
სიმინდი სასილოსედ	01.08	70	3.73
მზესუმზირა	20.08	50	3.13
სორგო სასილოსედ	20.09	20	2.88
სორგო მარცვლად	10.10	5	2.51

წინამორბედები არამარტო თესვის შემთხვევაშია განსხვავებული, არამედ ერთი და იგივე კულტურის სხვადასხვა წესით ნათესებიც სხვადასხვანაირია.

განოყიერების გავლენა მარცვლის ხარისხზე.

კვების ძირითადი ელემენტები არსებით გავლენას ახდენს მცენარეებში მიმდინარე ფიზიოლოგიურ და ბიოქიმიურ პროცესებზე, მოსავლის ოდენობასა და ხარისხზე მთელი სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში. ამის გამო სასუქები განსაკუთრებულ როლს ასრულებს მცენარის ზრდა განვითარებაზე მთელი სავეგეტაციო პერიოდის მანძილზე, მარცვლის შევსების და ტექნოლოგიური თვისებების ფორმირებაზე.

აზოტიანი სასუქების გავლენა მარცვლის ხარისხზე. საშემოდგომო ხორბლის მცენარის ბარტყობის დასაწყისში აზოტის შეტანით, როცა ხდება გენერაციული ორგანოების ჩასახვა, მნიშვნელოვნად იზრდება ყვავილების რაოდენობა. ამის მეოხებით იზრდება თავთუნებში მარცვლის რაოდენობა. საშემოდგომო ხორბლის უფრო გვიანი გამოკვება არავითარ გავლენას არ ახდენს თავთავში ყვავილების რაოდენობაზე, მაგრამ მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მარცვლის ხარისხს.

აზოტოვანი სასუქები შეტანილი საშემოდგომო თესვამდე, როგორც წესი ამაღლებს მარცვლის ხარისხს, კერძოდ მასში ცილების შემცველობას.

ექსპერიმენტული კვლევის შედეგად ლიტერატურაში გვხვდება მითითებები, რომ აზოტის მაღალ დოზებს, განსაკუთრებით ფოსფორის უკმარისობის დროს, შეუძლია გამოიწვიოს მცენარეთა ამიაკური მოწამვლა, მაგრამ, ჩატარებულ ექსპერიმენტებში ფოსფორის მაღალი დოზის დროს (P₁₂₀) აზოტის მაღალი დოზები (N₂₄₀-P₁₂₀) ხელს ნაკლებად უწყობს მოსავლის შემდგომ გადიდებას. საშემოდგომო ხორბლის მარცვალში პროტეინის შემცველობა იზრდება აზოტის დოზების ზრდის პარალელურად 13,1%-დან(N₆₀)-15,9%-მდე (N₂₄₀). ე.ი. განსხვავება ყველაზე დაბალ და მაღალ მაჩვენებლებს შორის 2,8%-ია

აზოტოვანი სასუქების მოქმედებით იცვლება აგრეთვე ნედლი წებოვარას შემცველობაც. საშუალო მონაცემების მიხედვით, 4 წლის განმავლობაში, ეს მაჩვენებლები 28,6 %-დან (P₆₀K₆₀) 36,6 %-მდე (N₁₈₀P₁₂₀K₆₀) მერყეობდა, მაგრამ, უნდა ავლნიშნოთ, რომ აზოტოვანი სასუქების მაღალი დოზები, არც ისე იშვიათად, მაგრამ უფრო მეტად ამაღლებს ნედლი პროტეინის შემცველობას საშემოდგომო მარცვალში.

აზოტიანი სასუქები დადებითად გავლენას ახდენს ფქვილის ძალაზე მხოლოდ N₁₂₀-ის და მეტის შეტანის შემთხვევაში. ამასთან, რაც მაღალია სასუქების დოზა, მით მაღალია ფქვილის ძალა.

წინამორბედებისა და განოყიერების გავლენა ცილებისა და წებოვარას საშუალო შემცველობაზე საშემოდგომო ხორბლის მარცვალში %-ით:

კარიანტი	წინამორბედები					
	საშემოდგომო ხორბალი		მზესუმზირა		შავი ანეული	
	ცილები-%	წებოვარა-%	ცილები-%	წებოვარა-%	ცილები-%	წებოვარა-%
უსასუქო-საკონტროლო	10.8	23.5	10.3	22.8	12.4	28.4
N ₆₀ P ₉₀ K ₆₀ -თესვის წინ	12.1	28.9	11.8	28.1	13.4	32.0
N ₉₀ P ₉₀ K ₆₀ -თესვის წინ	13.2	31.5	12.9	29.5	14.0	33.4

N60P90K60-თესვის წინ+N30 გამოკვება-ალერების წინ	13.3	31.2	13.0	30.3	14.2	33.9
N120P90K60-თესვის წინ	13.8	32.9	13.7	31.5	14.5	34.6
N60P90K60-თესვის წინ+N30 გამოკვება ალერების წინ	14.1	33.6	13.8	31.8	14.8	34.8

ცხრილში მოტანილი მონაცემები გვიჩვენებს, როგორც წინამორბედების სამეურნეო ღირსებებს, ისე სასუქების გავლენას ცილებისა და წებოგვარას შემცველობაზე. ამასთან, სასუქების შეტანის შედეგად ცილებისა და წებოგვარას ზრდა მით უფრო თვალსაჩინოა, რაც უფრო მაღალია წინამორბედის ღირსება, უპირველეს ყოვლისა ნიადაგის ტენის დაგროვების თვალსაზრისით. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ისიც, რომ აზოტის ნაწილ-ნაწილ (დანაწევრებულად) შეტანას ყველა შემთხვევაში არა აქვს უპირატესობა ერთჯერადად შეტანასთან შედარებით. სასუქების დანაწევრებულად შეტანის ეფექტიანობა სუსტია, განსაკუთრებით, გვალვიანი მიწათმოქმედების ზონისა და გვალვიანი წლების პირობებში.

ფოსფოროვანი სასუქების გავლენა მარცვლის ხარისხზე: აზოტოვან სასუქებთან ერთად მარცვლის მოსავლის სიდიდეზე და მარცვლის ტექნოლოგიურ ხარისხზე გავლენას ახდენს აგრეთვე ფოსფოროვანი სასუქები. გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ მცენარეში შესული ფოსფორის საერთო რაოდენობიდან დაახლოებით ნახევარი იმყოფება ორგანულ ფორმაში, დანარჩენი-მინერალურში. მცენარეში მინერალური ფორმით ფოსფორის შემცველობა ფიზიოლოგიური პროცესების ნორმალური მიმდინარეობის აუცილებელი პირობაა. ფოსფორი მნიშვნელოვან ფიზიოლოგიურ როლს ასრულებს უჯრედის ბირთვისა და პროტოპლაზმის ცილების წარმოქმნელ ნუკლეოპროტეინებში.

ფოსფორის მრავალმხრივი და შეუნაცვლებელი როლი მცენარის ცხოვრებაში შეიძლება რეგულირდებოდეს ზოგიერთი აუცილებელი ბიოქიმიური პროცესით. დადგენილია, რომ ფოსფორი გავლენას ადენს აზოტურ ცვლაზე მცენარეში. მცენარე, რომელიც არ ღებულობს ფოსფორს აზოტით ნორმალური კვების პირობებში, განიცდის არა ფოსფორულ, არამედ აზოტურ შიმშილს, ე.ი. ამ შემთხვევაში ფოსფორი აზოტური კვების აქტივატორიც არის. ფოსფორის ნაკლებობის დაროს მცენარეში სუსტდება ცილების სინთეზი.

